ბრძანება №3-81

გორი 01 04 2024წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტის ეკატერინე თვაურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად დადგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად დადგინდეს იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი ეკატერინე თვაური.

2. დაევალოს ეკატერინე თვაურს უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება.

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას უზრუნველყოს გასაცემი საჯარო ინფორმაციის შესაბამისი ასლების დადგენილი წესით დამოწმება.

4. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

5. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით კვერნაძე